მანანა ელბაქიძე

მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე დასკვნის გამცემი
უფლებამოსილი ფიზიკური პირი/ექსპერტი

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საექსპერტო დასკვნა №150

ქ. თბილისი 17 ივლისი, 2020

ობიექტის მისამართი: ქ. თბილისი, ქუჩა ალ. ჭავჭავაძე, №21
ობიექტის საკადასტრო კოდი: 01.15.05.014.013
ობიექტის მესაკუთრეები: რამაზ შენგელია, სტოჟკოვ ინგა
საფუძველი: დამკვეთის მომართვა ობიექტებზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების თაობაზე.
ობიექტზე არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობა - 4
ობიექტის მიმდებარედ არსებული მწვანე ნარგავების რაოდენობა - 16
შეფასებული მწვანე ნარგავების საერთო რაოდენობა: 20
საკვლევი ობიექტის ფართობი: 269 მ^2
რელიეფი: ვაკე
კვლევის ჩატარების მეთოდი: ვიზუალური და ტაქსონომეტრიული გაზომვები.

საექსპერტო დასკვნას თან ახლავს **არსებული სიტუაციური ფოტოსურათები.**

#	მცენარის ქართული და ლათინური სახელწოდებები	სასიცო-ცხლო ფორმა	დიამეტრი ფესვის ყელიდან 10 სმ სიმაღლე-ზე (სმ)	სიმაღლე მ H	მცენარის ზოგადი მდგომა-რეობა	შენიშვნა
ობიექტზე არსებული მწვანე ნარგავები, 4 ძირი						
1.	ტყემალი Prunus divaricata	ხე	31	9	ხმობადი	მოსაჭრელი
2.	კომში Cydonia oblonga	ხე	4-5	4,5	ჯანსაღი; მრავალ-ღეროიანი	დასაშვებია მოჭრა ან გადარგვა
3.	იასამანი Syringa vulgaris	ბუჩქი	0,5-1	1	ჯანსაღი; მრავალ-ღეროიანი	დასაშვებია გადარგვა
4.	თუთა Morus alba	ხე	38	11	ჯანსაღი	გადარგვას არ ექვემდებარება
ობიექტის მიმდებარედ არსებული მწვანე ნარგავები, 16 ძირი						
5.	ხემყრალა, აილანთუსი Ailanthus altissima	ხე	19	12	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის

						სამსახურის სპეციალური ნებართვით
6.	ხემყრალა, აილანთუსი Ailanthus altissima	ხე	16	12	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
7.	ხემყრალა, აილანთუსი Ailanthus altissima	ხე	18	12	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
8.	სამნაკვთა (სუროსებრი) უსურვაზი Parthenocissus tricuspidata	ხვიარა	0,5-1	კედელზე	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
9.	ხემყრალა, აილანთუსი Ailanthus altissima	ხე	12	11	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
10.	ალუბალი Prunus vulgaris	ხე	6	2,5	ზეხმელი	მოსაჭრელი
11.	ალუბალი Prunus vulgaris	ხე	11	5	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
12.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	8	კედელზე	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
13.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	4 5	კედელზე	ჯანსაღი; ორღერო-იანი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
14.	შინდი Cornus mas	ხე	15	6	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
15.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	4	კედელსა და სახურავზე	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
16.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	3	კედელსა და სახურავზე	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის

						სამსახურის სპეციალური ნებართვით
17.	მუშმალა, იაპონური ზღმარტლი, ლოქვა Eriobotrya japonica	ხე	0,5-1	1	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
18.	ვაზი Vitis vinifera	ხვიარა	3,5	კედელზე	ჯანსაღი	მოჭრა ან გადარგვა დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალური ნებართვით
19.	თუთა Morus alba	ხე	20	13	ჯანსაღი	იზრდება სამშენებლო არეალიდან 3 მ-ზე მეტი დაშორებით.
20.	თუთა Morus alba	ხე	23	13	ჯანსაღი	იზრდება სამშენებლო არეალიდან 3 მ-ზე მეტი დაშორებით.

საკვლევ ობიექტზე ხარისხობრივად შეფასებული 4 მწვანე ნარგავიდან

1 ძირი მიეკუთვნება **მაღალი ღირებულების ჯგუფის მცენარეს:**

№4 თუთა - Morus alba

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **მაღალი ღირებულების ჯგუფის მცენარეების** მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

2 ძირი მიეკუთვნება **ხილ-კენკროვანი ჯგუფის მცენარეებს:**

№1 ტყემალი - Prunus divaricata
№2 კომში - Cydonia oblonga

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **ხილ-კენკროვანი ჯგუფის მცენარეების** მოჭრა-გადარგვა არ საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

1 ძირი მიეკუთვნება დეკორატიულ **ბუჩქებს**

№3 იასამანი - Syringa vulgaris

კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე **ბუჩქებისა და ხვიარა მცნარეების** მოჭრა-გადარგვა საჭიროებს ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახურის სპეციალურ ნებართვას (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 19 მაისის #10-40 დადგენილება **„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“** ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე).

გარდა ზემოთ აღწერილი მწვანე ნარგავებისა, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ იზრდება სხვა მერქნიანი მცენარე.

საკვლევი ობიექტის მიმდებარედ ხარისხობრივად შეფასებული 16 მწვანე ნარგავიდან

2 ძირი მიეკუთვნება **მაღალი ღირებულების ჯგუფის მცენარეებს:**

№19 თუთა - Morus alba
№20 თუთა - Morus alba

4 ძირი მიეკუთვნება **დაბალი ღირებულების ჯგუფის მცენარეებს:**

№5 ხემყრალა, აილანთუსი - Ailanthus altissima
№6 ხემყრალა, აილანთუსი - Ailanthus altissima
№7 ხემყრალა, აილანთუსი - Ailanthus altissima
№9 ხემყრალა, აილანთუსი - Ailanthus altissima

4 ძირი მიეკუთვნება **ხილ-კენკროვანი ჯგუფის მცენარეებს:**

№10 ალუბალი - Prunus vulgaris
№11 ალუბალი - Prunus vulgaris
№14 შინდი – Cornus mas
№17 მუშმალა, იაპონური ზღმარტლი, ლოქვა - Eriobotrya japonica

6 ძირი მიეკუთვნება **ხვიარა ჯგუფის მცენარეებს:**

№8 სამნაკვთა (სუროსებრი) უსურვაზი - Parthenocissus tricuspidata
№12 ვაზი - Vitis vinifera
№13 ვაზი - Vitis vinifera
№15 ვაზი - Vitis vinifera
№16 ვაზი - Vitis vinifera
№18 ვაზი - Vitis vinifera

აღნიშნული 16 მწვანე ნარგავიდან

- №19 და №20 სამშენებლო არეალიდან დაშორებულია 3 მ-ზე მეტი მაძილით და ხელს არ შეუშლის მშენებლობას;
- №10 ზეხმელია და მოჭრას ექვემდებარება;
- №5, 6, 7, 8, 9, 11, 12, 13, 14, 15, 16, 17, 18-ის მოჭრა ან გადარგვა კი დასაშვებია ქ.თბილისის მერიის გარემოს დაცვის სამსახური სპეციალური ნებართვის საფუძველზე.

მერქნიანი მცენარეების გადარგვის მეთოდოლოგია და შემდგომი მოვლა

გადარგვა ხორციელდება არასავეგეტაციო პერიოდში, გვიან შემოდგომას, ან ზამთრის მიწურულს და ადრე გაზაფხულზე, წვენის ჩადგომამდე და კვირტების დაბერვამდე. ამ პერიოდში მცენარე ყველაზე ნაკლებმგრძნობიარეა გარეგანი ფაქტორების მიმართ

მცენარე აუცილებლად მიწის კოშტით (კომით) უნდა გადაირგოს. ის ამოღებულ უნდა იქნას იმ მიწის მასასთან ერთად, რომელშიც იზრდება. ამასთან აუცილებელია კომის მინიმალური დასაშვები ზომების დაცვა, რათა არ მოხდეს ფესვთა სისტემის დაზიანება.

კომის ზომებთან დაკავშირებით შეიძლება შემდეგი კანონზომიერებებით სარგებლობა: კომის დიამეტრი 10-ჯერ უნდა აღემატებოდეს 0,2 მ სიმაღლეზე ხის დიამეტრს. კომის სიმაღლე დამოკიდებულია ფესვთა სისტემის კომპაქტურობაზე. თუ გადარგვისას მცენარე დაკარგავს ფესვების 20-25%-ზე მეტს, მას გადარჩენის შანსი საგრძნობლად უმცირდება. ხოლო თუ წიწვოვან მცენარეს ფესვთა სისტემა გაუშიშვლდა, მისი გახარება შეუძლებელი გახდება. ის ხეები, რომლებმაც გადარგვისას ფესვების ნაწილი დაკარგეს, საკმაოდ დიდხანს ავადმყოფობენ. მათი ნაზარდი პირველ წელს შეიძლება მხოლოდ 5-10 სმ-ის ფარგლებში იყოს, მომდევნო წელს - ცოტა მეტი. ამ დროს მათი მოვლისადმი წაყენებული მოთხოვნები იზრდება: საჭირო ხდება უფრო ხშირი რწყვა და შესხურება, რაც თავის მხრივ ზრდის სოკოვანი დაავადებების წარმოშობის ალბათობას.

სარგავი ორმო მინიმუმ 30-35 სმ-ით უნდა აღემატებოდეს კომს. ეს სივრცე საჭიროა წინასწარ მომზადებული მიწის ნაზავის ჩასაყრელად. ღეროსა და ტოტებზე ჭრილობები მუშავდება ბაღის მალამოთი. ხე რომ ახალ ადგილს უკეთ შეეგუოს, საჭიროა საფუძვლიანი გასხვლა.

დიდი ზომის წიწვოვანი მცენარეების გადარგვისას აუცილებელია ისეთივე სივრცითი ორიენტაციის დაცვა (ჩრდილოეთი-სამხრეთი), როგორიც მას ჰქონდა პირვანდელ ადგილზე,

დიდი ზომის ხეების ამოღება და ჩარგვა ხორციელდება სპეციალური ტექნიკით, ამწის გამოყენებით.

აქტიური ვეგეტაციისა და ყვავილობის დროს არაა სასურველი 3 მ-ზე მაღალი წიწვოვნების და 4 მ-ზე მაღალი ფოთლოვნების გადარგვა.

გადარგვის შემდეგ აუცილებელია მცენარის საგულდაგულო მოვლა: პირველ რიგში უხვი და რეგულარული რწყვა, ფესვთა სისტემის ზრდის სტიმულიატორით დამუშავება და დამატებითი კვება.

ამოღებულ მცენარეებზე მოქმედებს მთელი რიგი ფაქტორები: გამოშრობა, მზის დასხივება, მექანიკური დაზიანება, ფიზიოლოგიურად მნიშვნელოვანი ფესვების ნაწილის დაკარგვა, რის შედეგადაც ირღვევა თანაფარდობა „ფესვთა სისტემა - მიწისზედა ნაწილი“, რაც იწვევს წყლის ბალანსის ცვლილებას და მცენარის ფიზიოლოგიური სტაბილურობის შეცვლას.

სარგავ ორმოებს ამზადებენ 6-10 დღით ადრე. ორმოს კედლები და ფსკერი გულდასმით სწორდება და სუფთავდება. ფსკერი ფხვიერდება 15-20 სმ სიღრმეზე, იყრება ნოყიერი ნაზავი 10-25 სმ სისქეზე. დასარგავი მცენარის ცენტრირებისათვის ორმოს ცენტრი ინიშნება პატარა პალოთი.

ნოყიერი მიწა წინასწარ უნდა იქნას შემოტანილი. მისი რაოდენობა დამოკიდებულია არსებული გრუნტის შემადგენლობაზე. უნაყოფო გრუნტი 100%-თ უნდა განახლდეს. მისი მოცულობა უდრის სარგავი ორმოს მოცულობას მინუს კომის მოცულობა.

კეთდება ხრეშის დრენაჟის ფენა 20-25 სმ-ზე.

სარგავი ორმოს მომზადების შემდეგ იზომება ორმოს პარამეტრები და ფესვის ყელის სიმაღლე, ამ დროს გათვალისწინებული უნდა იქნას მიწის დაჯდომის ფაქტორიც.

ხის ორმოში მოთავსების შემდეგ ორმო თანდათანობით ივსება გრუნტით: მიწა ჯერ კომის ქვეშ იტკეპნება, შემდეგ კი თანდათანობით ზემოთ იმგვარად, რომ ცარიელი ადგილები არ დარჩეს. ხის გამაგრებისას უნდა მოხდეს სპეციალური ვერტიკალური სადრენაჟე არხების ფორმირება, რომლებიც მომავალში ხის ფესვებს ჰაერითა და ტენით უზრუნველყოფენ.

ამის შემდეგ ხე მაგრდება სპეციალური დამჭიმებით. მათი მოხსნა შესაძლებელი იქნება 2-3 წლის შემდეგ, როცა მიწა მთლიანად დაჯდება და ფესვები მთლიანად შეეზრდება გარემო ნიადაგს. დროდადრო შეიძლება საჭირო გახდეს დამჭიმებისთვის ადგილის მონაცვლება,

ღეროს გარშემო ყრიან მულჩს. რწყვა უნდა ჩატარდეს 4-5 დღეში ერთხელ. ამისთვის საუკეთესო დროა დილა - 11 საათამდე და საღამო -6 საათის შემდეგ, ხოლო წყლის ტემპერატურა 15-20^0.

ახალ ადგილთან შესაგუებლად აუცილებელია ზრდის ბიოსტიმულატორების (ჰეტეროაუქსინი, კორნევინი, ჰერბამინი, ბიოპლექსი) გამოყენება - ეს ხელს უწყობს მცენარის სწრაფ აკლიმატიზაციას და ფესვების ახალი მასის წარმოქმნას.

ჯამების გაფხვიერება და მულჩირება გამოიყენება ნიადაგის აერაციის გასაუმჯობესებლად. ამ დროს ჟანგბადი უკეთ აღწევს ფესვთა სისტემამდე.

ფოთლოვანი ხეების გადარგვის პირველ წელს აუცილებელია სანიტარული სხვლა, რომელიც სეზონის განმავლობაში შეიძლება რამდენჯერმე განმეორდეს, რადგან ცალკეული ტოტების ხმობა აღინიშნება მთელი წლის განმავლობაში.

შემსრულებელი,

ექსპერტი  მანანა ელბაქიძე

არსებული სიტუაციური ფოტოსურათები

№1 ტყემალი
Prunus divaricate



№2 კომში
Cydonia oblonga



№3 იასამანი
Syringa vulgaris



№4 თუთა
Morus alba



პ/ნ 01019021760. მისამართი: თბილისი, მუხიანი, I-V-V-93; mob.: 599 739 834; e-mail: manana.elbakidze@gmail.com

№5 ხემყრალა, აილანთუსი
Ailanthus altissima



№6 ხემყრალა, აილანთუსი
Ailanthus altissima



№7 ხემყრალა, აილანთუსი
Ailanthus altissima



№8 სამნაკვთა (სუროსებრი) უსურვაზი
Parthenocissus tricuspidata



№9 ხემყრალა, აილანთუსი
Ailanthus altissima



№10 ალუბალი
Prunus vulgaris



№11 ალუბალი
Prunus vulgaris



№12 ვაზი
Vitis vinifera



№13 ვაზი
Vitis vinifera



№14 შინდი
Cornus mas



№15 ვაზი
Vitis vinifera



№16 ვაზი
Vitis vinifera



№17 მუშმალა, იაპონური ზღმარტლი, ლოქვა
Eriobotrya japonica



№18 ვაზი
Vitis vinifera



№19 თუთა
Morus alba



№20 თუთა
Morus alba



მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული ასომვითი ნახაზი





შენიშვნა: ტოპოგრაფიულ ნახაზზე ხაზოვანი ნაგებობები დატანილია რეგისტრირებული მონაცემებიდან

პირობითი აღნიშვნები	შენიშვნა: მიწის სამუშაოები შეათანხმეთ შესაბამის კომუნიკაციის წარმომადგენლებთან			პროექცია UTM 38N საკოორდინატო სისტემა WGS 84	შპს„ორიონი" Ltd"orioni"
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე	ქ. თბილისი, სანაპიროს ქუჩა №1
კანალიზაცია	შენობა	გაზონი	ხეების რიგი	ბორდიური	მობ: +995 557-51-51-15 E-mail: Ltdorioni@mail.ru
დენის კაბელი	არკა	სამეთვალყურეო ჭები	ტრანსფორმატორი	ბეტონი	დირექტორი — მ. ცინცაძე
გაზის მილი	ფარდული	ძეგლი	რადიო ან ტელე ანძა	კედელი	კომპ. უზრუნველყოფა — ზ. ცინცაძე
წყლის მილი	კიბე	შადრევანი	ლამპიონები	საყრდენი კედელი	აზომა — მ. ცინცაძე
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	ონკანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი	მისამართი: ქალაქი თბილისი, ქუჩა ალ. ჭაჭავაძე №21 ს/კ 01.15.05.014.013
	წიწვოვანი ხე	წყარო ან ჭა	რკინიგზა	გზის კონტური	მაშტაბი 1:500 — 22.07.2020
	ხეხილის ხე	ბენზინგასამართი სადგური	იზოჰიფსი	ფლატე	
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოჰიფსი	წყლის კონტური	